სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
LEPL KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 70

სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში რესტავრაციისა და კონსერვაციის სამეცნიერო ლაბორატორიის (განყოფილება) უფროსის- მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების და თანამდებობის დაკავების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ

12 დეკემბერი , 2019 ქ. თბილისი

„მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[4] მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 26 ივნისის №580 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 2 ოქტომბრის N129/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ და მე-13 საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის (შემდგომში ცენტრი) რესტავრაციისა და კონსერვაციის სამეცნიერო ლაბორატორიის (განყოფილება) უფროსის - მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად.
2. დამტკიცდეს:
   ა) ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვროს ამ ბრძანების დანართი 1-ის შესაბამისად;
   ბ) ცენტრის რესტავრაციისა და კონსერვაციის სამეცნიერო ლაბორატორიის (განყოფილება) უფროსის - მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელი პირობები ამ ბრძანების დანართი 2-ის შესაბამისად;
   გ) კონკურსში მონაწილე კანდიდატთა მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია ამ ბრძანების დანართი 3-ის შესაბამისად;
   დ) საკონკურსო განაცხადის ფორმა ამ ბრძანების დანართი 4-ის შესაბამისად;
3. გამარჯვებული კანდიდატის გამოსავლენად განისაზღვროს კონკურსის 2 ეტაპი:
   - განცხადებების გადარჩევა
   - გასაუბრება

0193 თბილისი, მ. ალექსიძის ქ., № 1/3
0193 Tbilisi, M. Alexidze str., № 1/3
ტელ./Tel.: (995 32) 247-42-42
ფაქსი/Fax: (995 32) 236-32-41
www.manuscript.ge
info@manuscript.ac.ge

4. საბუთების მიღება იწარმოებს 2019 წლის 16 დეკემბრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით 12.00 სთ-დან 17:00 საათამდე ცენტრის საქმისწარმოების სამსახურში მისამართზე: თბილისი, მ. ალექსიძის ქ. N1/3 .
5. გასაუბრების ჩატარების დღედ განისაზღვროს 2019 წლის 25 დეკემბერი 15.00 სთ.
6. კონკურსის შედეგები გამოცხადდეს არაუგვიანეს 2019 წლის 27 დეკემბრისა.
7. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის, პოპულარიზაციისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განყოფილებას ამ ბრძანებით გათვალისწინებული თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის ჩატარების თარიღის და დამატებითი პირობების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.manuscript.ge) გამოქვეყნება;
8. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს ცენტრის სამეცნიერო საბჭო სრული შემადგენლობით;
9. დაევალოს საქმისწარმოების სამსახურს ამ ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის;
10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

საფუძველი: სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს 2019 წლის 11 დეკემბრის ოქმი N 7.

დირექტორის მ.შ. *ამირან ახალაძე*